



გოლი თარაყი
არჩევანი

გოლი თარაყი
არჩევანი

گلی ترقی
انتخاب و داستان های دیگر

სპარსულიდან თარგმნეს მზია ბურჯანაძემ და თეა შურღაიამ

გარეკანზე: იაცეკ იერკას „იაფი ავიახაზები“ (ფრაგმენტი)

წიგნი ქართულად გამოიცა ავტორის თავაზიანი ნებართვით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-549-3

www.dioгене.ge

სარჩევი

პირველი დღე.....	7
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	
შირაზის ყვავილები.....	23
<i>მთარგმნელი თ. შურლაია</i>	
მამიდები.....	55
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	
უკანასკნელი დღე.....	85
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	
ბატონი ალექსის უცნაური ჩვევები უცხოეთში.....	97
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	
თავაზიანი ქურდი.....	139
<i>მთარგმნელი თ. შურლაია</i>	
კიდევ ერთი შანსი.....	173
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	
ის მეორე.....	195
<i>მთარგმნელი თ. შურლაია</i>	
არჩევანი.....	225
<i>მთარგმნელი მ. ბურჯანაძე</i>	

პირველი დღე

*1988 წლის აგვისტო. ვილ დ'ავრის ფსიქიატრიული კლინიკა.
პარიზის გარეუბანი*

აქ რა მინდა?

მოჭმუჭნილი ადამიანები, მუყაოს სახეებითა და ლობეშემოვლებული თვალებით, ხის მერხებზე ჩამწკრივებულან. ჩამორღვეული ადამიანები, ბებერი ხელებით.

მეშინია ამ თეთრხალათიანი, ოქროსფერთმიანი ექთნების; ამ უცხო, მდუმარე ბაღის; ამ მგლოვიარე ხეების და მათი მწუხარე ჩრდილების; ამ ჩაწიკნიკებული ბუბების, ერთი ფორმისანი, ერთი სიმაღლისანი ჯარისკაცებივით რომ ჩამდგარან მწყობრში.

შემირანის ბალი მახსენდება, ჩემი მეგობარი ვერხვები, ბაღის თაბაშირის ქანდაკებები და აუზის განაპირას მდგარი პუტკუნა ზღვის ფერია. მამაჩემს ვხედავ – ჭადრის ხეების ქვეშ, ნაკადულის პირას თავის სავარძელში ჩამჯდარა და მისი ვეება ჩრდილი შემირანის ბაღის კიდემდე განოლილა.

გვეუბნება: „დიდი სახლი მინდა, აუზით, ბაღჩა-ბაღით და ბაღჩაში ჩადგმული ქვის ქანდაკებებით; სახლი – მზიანი ოთახებით და ცხელი დღეებისთვის – გრილი სარდაფებით; ფართო აივნებით, სადაც ამქვეყნად ყველაზე ნათელი ცის ქვეშ დავიძინებთ“.

ნუხელ სიზმარში ვნახე. ეგვიპტის რომელიღაც ძველ ქალაქში ვიყავით. შუბლზე ოქროს ვარსკვლავი მზის ნამსხვრევევით უკაშკაშებდა და გამჭოლი მზერით ჰორიზონტის შორეულ ნერტილს მიშტერებოდა. იქნებ შვილების ხვედრს შესცქეროდა, შემირანის ბაღის ნან-

გრევეს, მსოფლიოს კუთხე-კუნჭულებში მიმოფანტულ თავის ჯიშსა და მოდგმას და მე – ამ უცხო ადამიანებს შორის გამომწყვდეულს.

ყურში მისი ხმა მიჟღერებდა: „მე ფოლადი ვარ, ფოლადი კი არ იჟანგება“.

მის მაგიურ ნებას და ხატებას ვეჭიდები. ამ რკინის კაცის – ავადმყოფობის დამთრგუნველისა და სუსტი ადამიანების მტრის – ძლიერებას.

ჩემთვის ვამბობ: „აქაურობას უნდა მოვშორდე. სანამ გვიან არაა, ახლავე!“

ფეხები მიწაზე მაქვს მიღურსმული, ტანი კი არ მემორჩილება. აზრები მეფანტება, სიტყვები მეკარგება. თავში ყველაფერი მიბევრდება: გამოსახულებები, ციფრები, ხმები, ზენრის ნაოჭები და საათების ნიკნიკი. ჩემს თვალწინ სურათები მიმოდიან, ერთმანეთზე ცვივიან, ფორმებს იცვლიან და უჩინარდებიან. წარსულსა და აწმყოს შორის ვტრიალებ და ვერც ერთ კონკრეტულ მომენტზე ვერ ვიმაგრებ თავს.

ექიმი ბაღში ბოლთას სცემს. ჩემკენ მოდის და მხარზე ხელს მადებს. ცივ და უცხო ხელს. ჩემი შემოსვლის პირველი დღეა. სახელს იწერს.

მეკითხება:

- ეროვნება?
- ირანელი.
- პროფესია?
- მწერალი.
- დაბადების ადგილი?
- თეირანი.

თავში ნაცნობი ქალაქის საამო რია-რია მიტრიალებს და შემირანის ბალი მწვანე სიზმარით მისახლდება ქუთუთოებს მიღმა.

თეირანი, თავისი ონავარი **რ**-თი, ენის ქვეშ რომ დასხლტის, თავისი განწელილი, გრძელი **ა**-თი ფერადოვანი ბაზრის მაცდური ლაბირინთით მისრუტავს. შორიდან ვილაც მეძახის, ვილაც – მთებისა და ზღვების გადაღმიდან. მეზობლის ბიჭი ქუჩაში დგას და

ხელს მიქნევს. ვგიჟდები ამ ბიჭზე, თუმცა მისი სახელი არ ვიცი. თმის ჟელე წაუსვამს და თავზე თმა ნესვივით დასდგომია. სახე წითელი მუნჯუკებით აქვს სავსე, პერანგი წელამდე მოუღელღავს. ჩემს თავს ვეუბნები, რომ მთელი სიცოცხლე ეს ბიჭი მეყვარება. და ორი დღის მერე აღარ მახსოვს.

ეკლესიის ზარები, რომელსაც სასწრაფო დახმარების მანქანის გამაყრუებელი სირენა ერთვის, ჩემი გარემოს უცხოობას ამძაფრებს. სადა ვარ?

წნელივით გალეული ახალგაზრდა კაცი მომშტერებია – თეთრი სახითა და დიდი, შავი თვალებით. მისი მზერა არ მსიამოვნებს. საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკება და იცინის. თითს ტურებზე იდებს და თვალების ფახურითა და თავის მოძრაობით მანიშნებს, რომ ჩუმი ვიყო.

ვფიქრობ: „არა, მე ამათ არ ვგავარ. შეუძლებელია. ექიმს უნდა დაველაპარაკო. უნდა ავუხსნა, რომ ჩემს სულიერ აშლილობას თავისი მიზეზი აქვს, ლოგიკური და გასაგები მიზეზი.“

მოხუცი ქალი მიახლოვდება. უნდა, რომ თმებზე მომეფეროს. ხელში რკინის სავარცხელი უჭირავს. გვერდით ვიწვევი. უკან-უკან მივდივარ და პირველსავე ცარიელ მერხზე ვჯდები. არ მეშვება. თმაზე ხელს მისვამს. ტანსაცმელზე ზეითუნის საპნის სუნი ასდის. ახლად გარეცხილი გრილი ზეწრების სუნი. ჩემი ბავშვობის ლოგინის სუნი.

სარეცხის თოკი ბანზე გვაქვს გაბმული. ზეწრებს უკან ვიმალები. მეძახიან, მაგრამ არ ვპასუხობ. მეძებენ. აუზის ზედაპირსაკვი უტყაპუნებენ ფოცხს. ქუჩაში გადაიან. მათი ხმები ბალის სიღრმიდან მესმის. უფროსების შეშფოთება მსიამოვნებს. ვიცი, რომ სასტიკი სასჯელი მელოდება. და მაინც არ ვპასუხობ. მეშინია და ამ შიშში მეძინება.

ექთანი მკლავში ხელს მკიდებს, მაყენებს და ბეტონის შენობისკენ მიმიძღვის. კანკალებ და მღელვარება ფიზიკური ტკივი-

ლივით მიტრიალებს სხეულში. თითო-თითო საფეხურს მიუყვებით მალლა – უსასრულო კიბეს. ნახევრად ჩაბნელებულ და ცარიელ ოთახში შევდივართ: ვინრო თეთრი სანოლი, ცისფერი ფარდები, პატარა მაგიდა და ერთი სკამი.

„მოკვდები აქ, ამ დაკეტილ ფანჯრებში, ამ წვიმიანი ცის ქვეშ!“

ყვირი – იმ უხმო ყვირილით, ყელშივე რომ რჩება. იმ ადამიანს ვგავარ, სიზმრად რომ გარბის, მაგრამ ადგილზე დგას. ტანსაცმელს მხდთან და გრძელ, ფართო ხალათს მაცმევენ. სანოლზე ვწვები. ვილაცის ხელი ფარდას გვერდით სწევს. ვილაცის ხელი შუბლზე მეფერება. ვილაც უცხო ენაზე რაღაცას მეუბნება. მკლავში ნემსის ჩხვლეტას ვგრძნობ. ექიმი პულსს მისინჯავს. ქუთუთოები ნელ-ნელა მიმძიმდება და სხეულში ზანტი, საამო შეგრძნება მივლის.

ბალიში შემირანის ბალის ბელურების ჭიკჭიკით მევსება. შემიძლია, დილით იმდენ ხანს ვიძინო, რამდენიც მენდომება. ხვალ უქმეა და ბალში, ნაკადულის პირას ვსადილობთ. ჰასან-აყა ნოხებს მიწაზე შლის და მუთაქებს ხეებს აყრდნობს. დეიდა აზარი გაუთავებლად საკუთარ სილამაზეზე, კანის ფერსა და სინაზეზე ზრუნავს. მზის სხივებს ემალება და, ლაქები რომ არ გაუჩნდეს, სახეზე კოლოების ბადის მსგავს აბრეშუმის თეთრ ქსოვილს იფარებს. სახლში რომ შემოდის, საზამთროს შუაზე ქრის, გულს იღებს და მის ნაწილს სახეზე იფენს, რომ კრიალა და ქორფა კანი ჰქონდეს. ამბობს, რომ ეს ხერხი მის ამერიკისგან ისწავლა, წესები კი ერთ ევროპულ ჟურნალში ამოიკითხა. სიცილის დროს ტუჩებს კოკორივით პრუნავს, რომ თვალებისა და ტუჩების გარშემო ნაოჭები არ გაუჩნდეს. ცხვირის წვერზე ღამლამობით სარეცხის სარჭს იკეთებს, რომ ცხვირი დაუპატარავდეს და აეპრიხოს. გვეუბნება, რომ ესეც მის ამერიკისგან იცის.

ყოველ დილას, როგორც კი თვალს გავახელ, ვილაცის ხმა ჩემს ყურისძირში კვირის დღეებს ჩამოთვლის ხოლმე. ეს ხმა, რომელიც, ძველი რადიოს ტალღებივით, ხან მშორდება და ხან მიახლოვდება,

ხან გრძელდება და ხანაც – მოკლდება, მეუბნება, რომ უნდა ავდგე, შხაპი მივიღო, ტანსაცმელი გამოვიცვალო და მაგიდასთან ვისაუზმო.

კედლისკენ ვბრუნდები.

ხმა რალაცს მეკითხება და მეუბნება, რომ ორი კვირაა, რაც აქ ვწევარ.

ექიმი მითითებას იძლევა, რომ ჩემი სანოლი ფანჯარასთან გადაიტანონ. ჩემთან არავის არაფერი ესაქმება და არც ჩემი მონახულების უფლება აქვს ვინმეს.

ახალი განკარგულება: ყოველ დილას ბაღში უნდა ვისეირნო და სხვებთან ერთად საერთო სუფრასთან ვისადილო. არა-მეთქი, ვპასუხობ და საბანს თავზე ვიფარებ.

ექთნები ჯერ ალერსითა და ხვეწნით, ბოლოს უკვე ძალისხაღად მაყენებენ სანოლიდან. მეხმარებიან, რომ ტანსაცმელი გამოვიცვალო, ფეხზე ჩავიცვა და სახეზე ნყალი შევისხა. ჩემი ნება რომ იყოს, ადგილიდან არ დავიძვროდი. ძილი, გაქცევა და დავინყება – სულ ესაა, რაც მინდა. დღის სინათლე მაშინებს და ვნატრობ, დრო საუკუნო ლამედ გადაიქცეს.

ვეუბნები:

– ხვალამდე მაცალეთ, რამდენიმე დღე კიდევ...

ვევედრები. აზრი არა აქვს. ასეთები ბევრი მოუსმენიათ. დერეფანში გავდივართ. მხრებში მიდგებიან. ჩემი სხეული ფუტურო და ცარიელია. ხელი რომ გამიშვან, დავეცემი. კიბის მოაჯირს ვეჭიდები. ბაღში რომ გავდივართ, მარტოს მტოვებენ. ხის მერხზე ვჯდები, სხვებისგან მოშორებით. რკინისსავარცხლიანი მოხუცი ქალი მხედავს და ჩემკენ მოდის. ჩემს ზურგსუკან დგება. დავარცხნას მიპირებს. არ ვინძრევი. თვინიერად ვიცდი. თმის სარჭს მაძრობს, თმაზე მეფერება, მვარცხნის და მინწავს.

რა კარგია, როცა ვილაც, ვისაც უყვარხარ, თმას გინწავს, ტანსაცმელზე ლილებს გიკრავს და სკოლის ჩანთაში ჯემიან პურს გიდებს. ფირუზქუშის სკოლაში შემიყვანეს. მეჩქარება. დედა თმას მინწავს და ხახაში ერთ კოვზ თევზის ქონს მასხამს. მაგრამ მერე, ამ

საზიზღარი გემოს სანაცვლოდ, ერთ მუჭა შაქარყინულს მიყრის ჯიბეში. ჩემი ლაქის ფეხსაცმელები ჭრაჭუნებენ და გახამებულ ტანისამოსს სახამებლის სუნი უდის. ჩანთა ახალი რვეულებით და ფერადი ფანქრებით მაქვს სავსე. მწკრივში ვდგებით და ზედამხედველი ხელებსა და ფრჩხილებს გვიმონმებს. უსუფთაო ბავშვებს კინნისკვრით აგდებს მწკრივის ბოლოში. ხელების გარდა, თუკი ვინმეს საყელოც ჭუჭყიანი აღმოაჩნდება, ანდა ჩანთა და რვეული არ ექნება, ის ეზოს ბოლოში ცალ ფეხზე უნდა დადგეს და ხელები ასწიოს.

მიბრძანებს:

– პირი გააღე!

თავს ვაქნევ. ვცდილობ, მთელი შაქარყინული ერთბაშად გადავყლაპო. ზედამხედველი ბრაზით წითლდება. თითს პირში მიყოფს. შაქარყინული მეჩხირება და ლამისაა, დავიხრჩო. ხროტინს ვიწყებ. ჩემი ადგილი ჯურღმულშია! შაქარყინულს ვკვნეტ და ვტირი. ბნელი სარდაფის წარმოდგენა თმას ყალყზე მიყენებს. ფეხს ვიშვერ და წყლის კასრების გარშემო ვიწყებ სირბილს. დარაჯი მომდევს და მოსახვევეში ქეროში მწვდება. მეუბნება:

– შე ბრიყვო გოგო, გაჩუმდი, თუ არ გინდა, თითებშუა ფანქარი გაგიყარონ!

ხელზე ვკბენ და კოჭში ნიხლს ვურტყამ. დიდი გოგოები – გაზულუქებული ფრიადოსნები, მხრებში ხელს მავლებენ და კიბზე ქვევით მექაჩებიან. ჯურღმულის გასაღები აქვთ. კარს ალებენ და ხელს მკრავენ. ზურგში გვარიან ნიხლსაც მაზელენ და შიგ მკეტავენ. მეშინია და ვყვირი. იქ კიდევ ერთი გოგონაა გამომწყვდეული. ჩემზე იცინის. ფარანი აქვს და სახეში მანათებს. თვითონ სიბნელეშია. სარდაფის ობობების და ტარაკნების არ ეშინია. სად იშოვა ეს ფარანი, ან როგორ დაუმალა ზედამხედველს? პირი მასაც საჭმლით აქვს სავსე. ლავაშს კბეჩს და ნახევარს მე მანვდის. გვერდით ვუჯდები, აღარ მეშინია. თანდათან სიბნელეს თვალს ვაჩვევ და ფარნის შუქზე მის სახეს ვხედავ. მოკლე თმები აქვს და ბიჭს მიაგავს. ჩემთვის ვფიქრობ, რომ ეს გოგონა, თვალები კატასავით რომ უელავს და სიბნელის და სარდაფის მწერების არ ეშინია, ჩე-

მი საუკეთესო მეგობარი გახდება. მაშინვე დებად ვიფიცებით და ჩემს შაქარყინულს ვიყოფთ. ვლაქლაქებთ, ვიცინით და მიხარია, რომ დაგვატუსაღეს და გაკვეთილებს ვაცდენთ. ზედამხედველმა არ იცის, რომ მე უბედნიერესი ვარ სკოლის მოსწავლეებს შორის და, შეყვარებული ადამიანივით, გული ამოვარდნაზე მაქვს. მეცადინეობის დამთავრებამდე გვათავისუფლებენ. პატარა მეგობარს ხელს ვჭიდებ და სკოლა და გაკვეთილები აღარ მაშინებს.

ექიმი ხშირად მეკითხება ჩემი სასიყვარულო ისტორიების შესახებ.

პატარა მეგობარზე ვფიქრობ, იმ საუკუნო აღთქმაზე, მაშინ რომ დავდეთ. მატყუარა მეგობარზე. გული, ამდენი წლის მერე, კვლავ მისი სიყვარულით მევსება და ცრემლები მდის.

პირველი სიყვარული?

არ მახსოვს. როდის. სად? თვალწინ ათობით სახე მიდგება, ერთმანეთზე დაცვენილი ფოტოებივით: მაჰმუდიეს უბნის ბიჭები, ავტობუსის მძღოლები, მამაჩემის ქაჩალი და ხნიერი მეგობრები, კინომსახიობები, უცნობი გამვლელი, წარმოსახვითი კაცები, მწერლები, რომელთა ფოტოებიც გაზეთში დაბეჭდეს... ყოველდღე შეყვარებული ვარ და – ვისზე, ღმერთმა იცის! ან რა მნიშვნელობა აქვს! ბატონი საყი, ბაყი, ჰოსამი?... მისი სახელი აღარ მახსოვს. ვინც უნდა იყოს, ერთი ვიცი, რომ ბიძაჩემების მეგობარია. თუკი რამე ნვეულება გვაქვს, მასაც ინვევენ, რომ იმღეროს და სანთურზე დაუკრას. მომაკვდავს ჰგავს: თმა გასცვენია და უბეები ამოღამებია. სახე კურკუმასავით გაჰყვითლებია. იმ რომანის ქლექიან გმირს ჰგავს, ბოლოს რომ წავიკითხე. როცა ვხედავ, ვნითლდები და გული მიჩქროლავს. შორიდან ვუცქერ და ჩუმად ვოხრავ. დარწმუნებული ვარ, მალე მოკვდება და ცრემლად ვიღვრები. თრიაქი უყვარს. ამოიდებს ლოყის ქვეშ და შაქარყინულივით წუნწის (ვიცი, უფროსებისგან გამიგონია). როცა უკრავს, თავი უოფლიანდება და მისი სხეულის სუნი ოთახში იფრქვევა. დედა ცხვირზე ხელს იჭერს და კოპებს იკრავს. მე შესვლის ნება არა მაქვს, კარის ღრიჭოში ვიხედები და ჩემთვის

ვამბობ, რომ ეს მწუხარე მომღერალი და თრიაქის მოყვარული მუსიკოსი ჩემი მარადიული შეყვარებული იქნება. მოგვიანებით ვიგებ, რომ თავის საკუჭნაოში თავი ჩამოიხრჩო. გული მტკივა და მისი ხსოვნის ნაშთი ჩემი გონებიდან პირწმინდად იშლება.

ექიმი მოითხოვს, რომ სხვა პაციენტებთან ერთად სასადილოში ვისადილო. ურთიერთობა დავამყარო, ვესაუბრო... ვნახო, მივხვდე, ვინ ვარ და სად ვარ. წარსულს დავშორდე და აწმყოს დავუბრუნდე. ახლანდელი მე გავიცნო და ეს რეალური არსება ხვალინდელ დღესა და მომავალში წარმოვიდგინო. არ შემიძლია. მომავალი მაშინებს. „დღეს“ კი ცარიელი და ყირამალა დროა, არც ერთ ადგილს რომ არ უკავშირდება. ნამდვილი მხოლოდ წარსულია, რომელიც, დედას მოჩითულ კაბასავით, კალთის ქვეშ მიფარებს.

სასადილო დარბაზი დიდი, სინათლით სავსე ოთახია. ჭერზე დაკიდებული ჭალები სახეების ნაღვლიან შტრიხებს უფრო ამკვეთრებს. დაკითხვისა და წამების ოთახს ჰგავს. ან მე მეჩვენება ასეთად. ჩემს წარმოდგენას ვერ ვენდობი. ვიცი, რომ გარესამყარო ისეთი არაა, როგორაც მას მე აღვიქვამ.

მაგიდას მდუმარე და ბუნდოვანი აჩრდილები შემოსხდომიან. ყველანი, უკლებლივ ყველანი, მე მომშტერებიან. ერთი დგება და თავის კოვზს მანვდის. მას კიდევ რამდენიმე ჰბაძავს. ჩემკენ კოვზიან-ჩანგლიანი და თეფშიანი ხელები მოიწევენ.

ექთანი ჩემკენ მოიჩქარის და მკლავზე ხელებს მხვევს. თითქოს განუვითარებელი არსება ვარ და ჯდომისა და ჭამის წესები უნდა ამიხსნან. სკამის კიდეზე ვზივარ, გასაქცევად მომზადებული. ჩემ გვერდით კაცი ზის და საკუთარ თეფშს ჩასცქერის. გაშტერებულია, თითქოს აქ არ არის.

ექთანი ტაშს შემოჰკრავს და ყვირის:

– სიჩუმე! თქვენთვის კარგი ამბავი მაქვს. ორშაბათს ზეიმს ვმართავთ!

ჩემ გარდა ყველა ტაშს უკრავს და „ვაშას“ იძახის. კოვზებს ჭიქებს უბრაზუნებენ და იცინიან. ხშირად უქმე დღეებში ბაღში ან

ჰოლში პატარა ზეიმი ეწყობა. ერთი მუსიკოსი მოდის ხოლმე, რომელიც ადრე აქ იწვა. ძველ მეგობრებს მოინახულებს და მათთვის ფორტეპიანოზე ან ვიოლინოზე უკრავს. მისი სტუმრობა დანარჩენებს იმედს აღუძრავს და ახალისებს. ზეიმის დაწყებამდე ექთნებს ვაგებინებ, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობას არ მივიღებ. გამორიცხულია. ექიმი, რომელიც უკვე იცნობს ჩემს მყრალ ხასიათს, ეუბნება, რომ მომეშვან.

დღევანდელი ზეიმი ბაღში იმართება. ფანჯრიდან ვუყურებ. სულების წვეულებაა. მოხეტიალე სულებისა, რომლებიც ძველი სიყვარულების ხსოვნისა და ქარსგაყოლილი ოცნებების თანხლებით ერთმანეთის გარშემო დარიალებენ. ორ ქალს ერთმანეთისთვის წელზე ხელი შემოუხვევია და დაყანყალებს. თვალები დაუხუჭავთ. თავებს მუსიკის ტაქტში აკანტურებენ და ხანგამოშვებით იღიმებიან. თითქოს სძინავთ და კარგ სიზმარს ხედავენ. ის ახალგაზრდა, თავისთვის რომ ბუტბუტებდა და მემანჭებოდა, დანარჩენებს გარს უვლის და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს. ამბობენ, რომ პოეტი და ორი კრებულის აქვს გამოცემული.

სალამოობით ხანდახან კაფე „ნადერიში“ მივიღვართ. დეიდა აზარი და მისი ქმარი ცეკვავენ. ორივენი ევროპული ცეკვების კურსებზე დადიან და ისე კარგად ცეკვავენ, რომ ხალხი ტაშს უკრავს. დეიდა ნირვანა და დეიდა მინერვა დედაჩემის მამიდაშვილები არიან. აკორდეონზე და პიანინოზე უკრავენ. როცა ჩვენთან მოდიან, ძველ გრამოფონს რთავენ და ყველას აიძულებენ, რომ იცეკვონ. დედა მორცხვობს, ცეკვა არ იცის და განზე იწევს. იაზდანი, დეიდა მინერვას ბიჭი, ნამდვილი გოჭია, კედლებზე გადის. დღემდე ათჯერ მანც აქვს თავ-პირი და ხელ-ფეხი დამტვრეული. მშვილდ-ისარი აქვს და ბელურების ხოცვის დიდოსტატია. მშობლები სახლიდან გასვლის წინ სკამზე თოკით აბამენ, რომ ან საკუთარ თავს არ მოსწიოს რამე უბედურება, ან სახლი არ გადაწვას. ჩვენთან როცა მოდიან, ხეზე აბამენ. დროდადრო, რომ მოშივდება ან მოსწყურდება, ყვირილს იწყებს. დეიდა ნირვანა სიმინდის ტაროს პირთან მიუტანს და

აკბეჩინებს ხოლმე. დედა ფიქრობს, რომ ასეთი მოპყრობა ულამაზო და დამორგუნველია და თოკებს ახსნევენებს. მაგრამ ეს ბიჭი აშვე-ბისთანავე მშვილდიდან გასროლილი ისარივით სხლტება და მიფრინავს – ფეხს სამოვარს ჰკრავს და აყირავებს, ხელით სუფრაზე შემოდგმულ ხილიან ლანგრებს ედება და ძირს ყრის. დედა კვივის, ბიჭს იჭერენ და ისევ ხეზე აბამენ, წინანდელზე უფრო მაგრად.

მამა ასეთ წვეულებებს ვერ იტანს, თავისი ოთახიდან არ გამოდის, მუშაობს. ყოველთვის, როცა კარის ღრეჭოდან ვუყურებ, წერაშია გართული. ვგიჟდები მის კაბინეტზე. წიგნებითა და გაზეთებით აქვს სავსე და ჩემი საწოლისხელა მაგიდა უდგას. პირველი მოთხრობა ამ მაგიდასთან დავწერე... რამდენი წლის ვარ? ისეთი პატარა ვარ, მაგიდას ძლივს ვწვდები. ვიცი, რომ მამა მწერალია და არ უნდა შევანუხო. წყნარად, უხმაუროდ შევდივარ ოთახში და მის ზურგსუკან ვდგები. ჩუმი ვუყურებ. მისი კალამი თეთრ ქალღმერთს დასრიალებს. თავს წინ და უკან ხრის და ენის წვერით ქვედა ტუჩს ილოკავს. კალმის წვერიდან ქიანჭველებივით შავი, წვრილ-წვრილი არსებები ცვივიან და ფურცელზე დაცოცავენ. გრძნობს, რომ გვერდით ვდგავარ და მეძახის. ვთხოვ, რამე დამინეროს. კალამს სამელნეში აწებს, უცნაურ სურათს ხატავს და მეუბნება: „შეხედე, ეს შენი სახელია“. კვლავ აწებს კალამს სამელნეში, ფურცელი ჩემს ცხვირთან მოაქვს და ამბობს: „ეს კრემიანი ნამცხვარია“. კრემიანი ნამცხვარი! მუცელი მიწრიანებს, ლამისაა, გული გადამელიოს. კიდევ რამდენჯერმე აწებს კალამს მელანში და პეპელას, ზურთს და კიტრს მიხატავს. რაც არსებობს, ყველაფერი ამ ჯადოსნურ მელანშია. საჭმლითა და სათამაშოებითაა სავსე. კრემიანი ნამცხვარიც შიგაა. იმ ამბებითაა სავსე, მამა რომ მიაბობს, და იმ სიტყვებით, რომელთა აღმოჩენაც მინდა. ნაშუადღევს, როცა მამა იძინებს, მის მაგიდასთან მივდივარ. კალმისტარს ვერ ვპოულობ. სამელნეში თითს ვყოფ და ქალღმერთს ვუსვამ. მელნის სუნი ცხვირში მიძვრება და ბედნიერი ვარ. მელნიან ხელს კაბაზე ვისვამ და თითებს სათითაოდ ვანებ სამელნეში. ვანჯღრევ. ვაპირქვავებ. თავ-პირი და ტანისამოსი მელნის ლაქებით მაქვს დაფარული. რა ნეტარებაა! რომ მიმიშვებდნენ,

თეთრ კედლებსაც მოვხატავდი! როგორ მინდოდა, მელნით სავსე ასი სამელნე მქონოდა. ასი კალმისტარი, ასი თითი და მთელი ოთახი თეთრი ფურცელი! მამასავით გავხდი! მწერალი ვარ. როგორ მინდა, რომ ეს ჩემი მოთხრობა ვუჩვენო... ამ დროს ვილაცის ხელი ქეროში მწვდება და დედაჩემის ხმა ყურში ჩამყვირის: „ბინძურო ბავშვო, ნახე, რა დღეში ჩააგდე კაბა!“

თავ-პირზე ცხელ შხაპს მავლებენ და ტანისამოსს მირეცხავენ. ვყვირი და ჩემს მოთხრობას დავეძებ. მოთხრობას, რომელიც წყალმა წაიღო. იქნებ ამიტომაც, რომ ვწერ და არასდროს კმაყოფილი არა ვარ. თითქოს ჩემი თავის რალაც ნაწილი ისევ იმ პირველ მოთხრობას დავეძებს – იმ ერთადერთ კარგ და სრულქმნილ მოთხრობას!

ექიმმა იცის, რომ წერა მიყვარს. ქალღმერთების დასტა და რამდენიმე წვერწათილი ფანქარი მოაქვს. მაგიდასთან ვჯდები და თვალი მიშტერდება. რა დავწერო? როგორ? საიდან დავიწყო? ფანქარს თითებს ვუჭერ და მის საშლელიან ბოლოს ვლექავ. ფურცელს სახეზე ვიდებ და ბასრ კიდეზე ენას ვუსვამ. თვალებს ვხუჭავ და კარგა ხანს აღარც ვინძრევი.

ექიმი მეხმარება. მეუბნება:

– თქვენ ხომ მწერალი ხართ! სიზმრები ჩაინერეთ. თქვენ ხომ სულ წარსულზე ლაპარაკობთ, ჰოდა, მოგონებები დაწერეთ.

ვწერ. ვხაზავ. სიტყვებს დავეძებ. ფიქრები აწვნილი მაქვს და წინადადებები – უთავბოლო. იმ ზარმაც, ჩამორჩენილ მოსწავლეს ვგავარ, მართლწერისა და გრამატიკის წესები რომ დავიწყებია. ოთახი დაჭმუჭნილი ფურცლებით ივსება, ფანქრები ათასჯერ წავთაღე. საშლელები კბილებით დავღრღენი. ვწერ და ვხაზავ. მოგონებები, ფერგამკრთალნი და დაფანტულნი, ერთბაშად მიტევენ და, წყლის ზედაპირზე მოცახცახე წრეებივით, უკვალოდვე ქრებიან.

ზოგჯერ, იმედდაკარგული, წერას თავს ვანებებ და კვლავ დიდ არაფერში ვეშვები. დილაობით ადგომა არ შემიძლია და მთელი დღე მძინავს. მაგრამ წერის სურვილი შიგნიდან მწესტრავს. სიტყვები არ მეშვებიან. ძილშიც მაკითხავენ და ჩემს ტუჩებსა და

ქუთუთოებს ჭიანჭველების ჯარივით ესევინან. რამდენიმე კვირა დუმილში გადის, მერე კვლავ ვიმარჯვებ ფურცლებს. გონებაში შფოთვა ჩამიცხრა და უკეთესობისკენ ვიბრუნე პირი. შემიძლია, ბაღში ვისეირნო და დილის გაზეთის რამდენიმე გვერდი წავიკითხო. რამდენიმე მოკლე ფრაზის დანერამ, მარტივი ამბის აღწერამ ახალი ძალით ამავსო. გულზე სიყვარულის წვიპურტი გამკრა და, ამდენი ხნის მერე, საამო და გიჟმაჟი მუხტით აღმაგზნო.

ჩემთვის ვამბობ: „წერა თუ შეეძელი, კარგად გავხდები“. და მინდა, რომ კარგად გავხდე. ჩემს თავს ასეთს, ავადმყოფსა და უძლურს, არ ვღებულობ. ვიცი, რომ ეს უცნობი, რომელმაც ჩემს სულში ჩაიბუდა, დაუპატიჟებელი სტუმარია, უცხოა. მისი არსებობა კი – დროებითი.

ყველაფერს ვინერ, რაც ჩემს თავში ხდება. რა უშავს, რომ აწენილ-აბურდულია. რა უშავს, რომ უთავბოლოა. ეს დასაწყისია. ჩემი ფსიქიკური სიმრთელე ჩემივე ფიქრების, გრძნობებისა და მოგონებების მიქვალაია. სიტყვებით, ასოებით, წერტილებით გამძლე თოკი უნდა დავგრიხო და ბნელი ორმოდან – ძილისა და დუმილის ორმოდან ამოვიდე. სიტყვები, დედამინის მიზიდულობას გარიდებული პლანეტებივით, ჰაერში დატივტივებენ და გარს მივლიან. რომელიც მომიახლოვდება, მოვიტაცებ და ფურცელზე მივამაგრებ. დაშიფრული ენა გამოვიგონე, ძველი წარწერების მსგავსი ენა, რომელსაც ამოხსნა სჭირდება.

ექიმს ჩემი საქმიანობისა სჯერა და მაგულიანებს. ექთნები მომეშენენ. ნება მომცეს, სიტყვებს შორის ვისეირნო, თავ-პირზე მივეფერო, ჩავიხუტო, შევიყვარო ანდა, პირიქით, ხელი შემოვკრა, დავაქუცმაცო და ხელ-ფეხი თოკით შევუკრა. სიტყვების ფერადი ძაფებით მფრინავ ხალიჩას ვქსოვ და წარსულის უშორეს დღეებში მივემგზავრები. პირველ მოგონებებში: დედაჩემის ძმის – პოლკოვნიკის მანქანაში ვართ. დედა და ბიცოლა წინ სხედან, მე უკან ვდგავარ. მანქანის ჭერისგან რამდენიმე მეტრი მაშორებს. დედას და ბიცოლას მხრები აფუყვიათ, თითქოს ქვეშიდან ტომსიკები უდევთ. რაც უნდა იყოს, მე კი მეფარება, დანახვაში მიშლის... ბნელ, გაუ-